საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/2161
01/06/2022

2161-21-2-202206011212

შპს „კოდორს“
მის: ქ. თბილისი, ბახტრიონის ქ. №13. ბ. №85
ელ. ფოსტა: kodori197@gmail.com

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №11399 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში 110 კვ ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის - „დიღომი 101-102“-ის რეკონსტრუქციას.

გაცნობებთ, რომ წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებაში მოცემული არ არის და დაზუსტებას საჭიროებს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- წარმოდგენილი უნდა იქნეს საქმიანობის განხორციელების ადგილის shp ფაილები;
- სკრინინგის განცხადებას, უნდა დაერთოს შესაბამისი მუნიციპალიტეტის წერილი დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის ფუნქციური ზონისა/ქვეზონისა და ამ საქმიანობის აღნიშნულ ზონასთან/ქვეზონასთან თავსებადობის შესახებ, ამ მუნიციპალიტეტის მიერ დამტკიცებული გენერალური გეგმის არსებობის შემთხვევაში;
- სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს წერილის თანახმად, საპროექტო ტერიტორია ხვდება ამერიკის საელჩოს 2000 მეტრიან შეზღუდვაში. შესაბამისად, სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იყოს ამერიკის საელჩოსთან შეთანხმების შესახებ ინფორმაცია;
- დოკუმენტში მოცემული უნდა იყოს ინფორმაცია საპროექტო ტერიტორიიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლის დაშორების მანძილის შესახებ, სიტუაციურ რუკაზე დატანით;
- სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს დაგეგმილი სამშენებლო სამუშაოების ფარგლებში წარმოქმნილი ნარჩენების სავარაუდო სახეობების, დროებითი განთავსებისა და შემდგომი მართვის შესახებ ინფორმაცია;

- დოკუმენტში განხილული უნდა იყოს ელექტროგადამცემი ხაზის გაყვანის პროცესში ხმაურის გავრცელებით გამოწვეული ზემოქმედება, უახლოეს საცხოვრებელ სახლთან დაშორების მანძილის გათვალისწინებით;
- 4.1.3 თავში აღნიშნულია, რომ „სამეურნეო-ფეკალური წყლები გაიწმინდება ბიოლოგიური გამწმენდი ნაგებობის საშუალებით“, შესაბამისად დაზუსტებას საჭიროებს ბიოლოგიური გამწმენდი ნაგებობის მოწყობის საკითხი.
- სკრინინგის განცხადებაში განხილული ზოგადი გეოლოგიური ნაწილი მოიცავს ქ. თბილისის მთლიან ტერიტორიას, ხოლო უშუალოდ საპროექტო დერეფნის და მიმდებარე არეალის აღწერა მოკლებულია კონკრეტიკას. დაგეგმილი საქმიანობის მასშტაბებიდან გამომდიარე, ქ. თბილისის მთლიანი ტერიტორიის გეოლოგიური პირობების განხილვა საჭიროებას არ წარმოადგენს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

თეიმურაზ მთივლიშვილი

სააგენტოს უფროსის დროებით ფუნქციების შემსრულებელი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო